დანართი №12

მიღებულია „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს“ 2015 წლის 6 აგვისტოს №1 სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად

დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 21 სექტემბრის N01-280/ო ბრძანებით

ინფორმაცია ბედაქილინის შესახებ

შინაარსი

ინფორმაცია ბედაქილინის შესახებ 1
ბედაქილინის მიღების დაწყებამდე უთხარით თქვენს ექიმს, თუ: 3
როგორ უნდა მივიღო ბედაქილინი? 3
რას უნდა ვერიდოთ ბედაქილინით მკურნალობის დროს? 4
რა გვერდით მოვლენებს იწვევს ბედაქილინი? 4
რა გამოკვლევებია საჭირო ბედაქილინით მკურნალობის პერიოდში? 5
ზოგადი ინფორმაცია ბედაქილინით მკურნალობის სარგებლისა და რისკის თაობაზე 5
ხარჯები 6
უარის ან პროგრამიდან გამოსვლის უფლება 6
საკონტაქტო პირები: 6

ბედაქილინი არის მედიკამენტი, რომელიც გამოიყენება ფილტვის რეზისტენტული ტუბერკულოზის სამკურნალოდ, როდესაც სხვა მედიკამენტებით მკურნალობის არჩევანი ძალზე შეზღუდულია.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბედაქილინით მკურნალობის ფონზე ტუბერკულოზის გამომწვევს ნახველთან ერთად უფრო ნაკლები პაციენტი გამოყოფს, პაციენტების იმ ჯგუფთან შედარებით ვისაც ბედაქილინით არ უმკურნალია.

ბედაქილინით და სხვა ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტებით მკურნალობის კურსის ბოლომდე მიყვანა ძალიან მნიშვნელოვანია. დოზის გამოტოვება არ შეიძლება - ამან შესაძლოა დააქვეითოს მკურნალობის ეფექტურობა და გაზარდოს ალბათობა, რომ დაავადება ბედაქილინით და სხვა მედიკამენტებით მკურნალობას აღარ დაემორჩილება.

ბედაქილინის მიღების დაწყებამდე უთხარით თქვენს ექიმს, თუ:

- გქონდათ გულის რიტმის დარღვევა ან გულის სხვა პრობლემა;
- თქვენი ოჯახის რომელიმე წევრს აქვს ან ჰქონდა გულის დაავადება, ე.წ. თანდაყოლილი გახანგრძლივებული QT სინდრომი;
- გაქვთ ღვიძლის ან თირკმლის პრობლემები ან რაიმე სხვა დაავადება, ან აივ ინფექცია;
- ხართ ორსულად ან გეგმავთ დაორსულებას;
- ძუძუთი კვებავთ ბავშვს ან გეგმავთ ძუძუთი კვებას;
- იღებთ რეცეპტით ან ურეცეპტოდ ხელმისაწვდომ ნებისმიერ პრეპარატს, ვიტამინებს ან მცენარეულ დანამატებს.

როგორ უნდა მივიღო ბედაქილინი?

- ბედაქილინის მიღება აუცილებელია სხვა ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტებთან ერთად. თქვენი ექიმი გადაწყვეტს, კიდევ რომელი მედიკამენტი მიიღოთ ბედაქილინთან ერთად.
- ბედაქილინი ყოველთვის მიიღეთ მსუბუქ საკვებთან ერთად. ცხიმით მდიდარ საკვებთან ერთად ბედაქილინის მიღება არ შეიძლება.

- ბედაქილინის აბები მთლიანად (გაუყოფლად და დაუფხვნელად) წყალთან ერთად მიიღეთ.
- ბედაქილინით მკურნალობა სულ 24 კვირის (6 თვის) განმავლობაში გრძელდება.
    - **პირველი და მე-2 კვირა:** ინიშნება 400 მგ (4 ტაბლეტი) ბედაქილინი დღეში ერთხელ ყოველდღე ანუ კვირაში 7 დღე.
    - **მე-3-დან 24-ე კვირის ჩათვლით:** ინიშნება 200 მგ (2 ტაბლეტი) ბედაქილინი დღეში ერთხელ დღეგამოშვებით, ანუ კვირაში 3-ჯერ, მაგ., ყოველი კვირის ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს.
- 24 კვირა - ბედაქილინთან ერთად, მერე კი უკვე ბედაქილინის გარეშე სხვა ტუბსაწინააღმდეგო მედიკამენტებიც უნდა მიიღოთ (მკურნალობის კურსი, სულ მცირე, 20 თვე გაგრძელდება; აქედან 8 თვის განმავლობაში საინექციო მედიკამენტის გამოყენებაც მოგიწევთ).
- თქვენი მკურნალობა სამედიცინო პერსონალის უშუალო მეთვალყურეობით ჩატარდება. ამას DOT ეწოდება და ნიშნავს, რომ მკურნალობის პროცესში ექიმი ან ექთანი დააკვირდება თქვენ მიერ მედიკამენტების ყოველდღიური დოზის მიღებას და წამოჭრილი კლინიკური პრობლემების მოგვარებაში დაგეხმარებათ.
- არ გამოტოვოთ ბედაქილინის დოზა. თუ დოზას გამოტოვებთ ან არ დაასრულებთ ბედაქილინით მკურნალობის 24-კვირიან კურსს, მკურნალობა შედეგს არ გამოიღებს და დაავადება კიდევ უფრო დამძიმდება.
- თუ რაიმე მიზეზით დოზა გამოგრჩათ, დაუყოვნებლივ აცნობეთ ამის შესახებ ექიმს ან ექთანს. ის გირჩევთ, როგორ მოიქცეთ.

რას უნდა ვერიდოთ ბედაქილინით მკურნალობის დროს?

- ბედაქილინით მკურნალობის დროს არ შეიძლება ალკოჰოლის მიღება.

რა გვერდით მოვლენებს იწვევს ბედაქილინი?

- ბედაქილინმა შესაძლოა გამოიწვიოს გულის რიტმის სერიოზული ცვლილებები. დაუყოვნებლივ აცნობეთ თქვენს ექიმს, თუ გრძნობთ, რომ გულისცემა შეიცვალა. მაგალითად, გულის რიტმი აჩქარდა ან დაირღვა ან გაქვთ გულის წასვლის შეგრძნება. ამგვარი ცვლილებების დროულად გამოსავლენად ბედაქილინით მკურნალობის დაწყებისთანავე პერიოდულად განხორციელდება თქვენი გულის რიტმის შეფასება ელექტროკარდიოგრაფიის საშუალებით.

- ბედაქილინმა შესაძლოა გამოიწვიოს ღვიძლის პრობლემები (ჰეპატოტოქსიკურობა). აცნობეთ ექიმს ისეთი სიმპტომების შესახებ, როგორებიცაა გულისრევის შეგრძნება ან ღებინება, მუცლის ტკივილი, ცხელება, ქავილი, უჩვეულო დაღლილობა, მადის დაკარგვა, ბაცი განავალი, მუქი შარდი, კანის გაყვითლება ან თვალის სკლერების გაყვითლება.

- ბედაქილინით გამოწვეული სხვა გვერდითი მოვლენებია: გულისრევის შეგრძნება წამლის მიღებისას, სახსრების ტკივილი, თავის ტკივილი, პანკრეასის დაზიანებით გამოწვეული ცვლილებები ლაბორატორიულ ტესტებში, სისხლიანი ნახველი, ტკივილი გულმკერდის არეში, მადის დაქვეითება და/ან გამონაყარი.

- შესაძლოა, ბედაქილინი ისეთ გვერდით მოვლენებსაც იწვევდეს, რომელთა შესახებ ჯერ ცნობილი არ არის, ამიტომ ნებისმიერი ახალი ჩივილის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ თქვენს ექიმს. ყოველთვის უთხარით თქვენს ექიმს/ექთანს, რა გაწუხებთ. ამ ჩივილების გამო შესაძლოა საჭირო გახდეს ბედაქილინის ან სხვა მედიკამენტ(ებ)ის მიღების შეწყვეტა.

რა გამოკვლევებია საჭირო ბედაქილინით მკურნალობის პერიოდში?

- ბედაქილინით მკურნალობის პროცესში პერიოდულად უნდა ჩაიტაროთ იგივე გამოკვლევები, რომლებსაც რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული ყველა პაციენტი იტარებს. გარდა ამისა, საჭირო იქნება დამატებითი კვლევები: ელექტროკარდიოგრაფია, ღვიძლის ფუნქციების განსაზღვრა, ელექტროლიტების დონის განსაზღვრა, - და სხვადასხვა სპეციალისტის კონსულტაცია. თქვენი ექიმი დეტალურად აგიხსნით, რომელი გამოკვლევა ჩაიტაროთ, სად და როდის.

ზოგადი ინფორმაცია ბედაქილინით მკურნალობის სარგებლისა და რისკის თაობაზე

- <u>**სარგებელი**</u>: ბედაქილინის მიღებისას ტუბერკულოზისგან განკურნების შანსი უფრო დიდია, ვიდრე ამ წამლის გარეშე იქნებოდა. ასევე შესაძლოა, გაცილებით სწრაფად მომჯობინდეთ, ვიდრე მხოლოდ რეზისტენტული ტუბერკულოზის სამკურნალო სტანდარტული მედიკამენტების მიღებისას. გარდა ამისა, ნაკლებსავარაუდოა, ბედაქილინის მიღებისას გახდეთ რეზისტენტული იმ პრეპარატების მიმართ, რომლებსაც იღებთ.

- <u>**რისკი**</u>**:** შესაძლოა, ბედაქილინის გამოყენებისას გვერდითი მოვლენების გამო თავი შედარებით უარესად იგრძნოთ. ბედაქილინმა შესაძლოა ძალიან სერიოზული გვერდითი მოვლენაც კი გამოიწვიოს, ამიტომ ყურადღებით წაიკითხეთ ნაწილი „რა

გვერდით მოვლენებს იწვევს ბედაქილინი“ და იქ ნახსენები ნებისმიერი ჩივილის გამოვლენის შემთხვევაში აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ექთანს.

ხარჯები

- ბედაქინილი ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის ფარგლებში მოგეწოდებათ უფასოდ.

უარის ან პროგრამიდან გამოსვლის უფლება

- თქვენ არ ხართ ვალდებული, მიიღოთ ბედაქილინი, თუ არ გსურთ; ბედაქილინის მიღებაზე უარის თქმა გავლენას არ მოახდენს თქვენს უფლებაზე მიიღოთ ის მომსახურება, რომლითაც სხვა შემთხვევაში ისარგებლებდით.

- თუ თანხმობას განაცხადებთ ბედაქილინის მიღებაზე, შეგეძლებათ, დაწყებიდან ნებისმიერ მომენტში შეწყვიტოთ მისი მიღება და ამავე დროს შეინარჩუნოთ პაციენტის ყველა ის უფლება, რომლითაც სარგებლობთ. ეს შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში თქვენს მკურნალობაზე გავლენას არ მოახდენს.

საკონტაქტო პირები:

- კითხვების არსებობის შემთხვევაში გთხოვთ დაუკავშირდეთ შემდეგ პირებს:

სახელი/გვარი_____თანამდებობა _____ტელეფონი_____

სახელი/გვარი_____თანამდებობა _____ტელეფონი_____

სახელი/გვარი_____თანამდებობა _____ტელეფონი_____

პასუხისმგებელი ექიმის ტელეფონი:_____

სამედიცინო დაწესებულების დასახელება: _____